

საქართველოს კანონი
„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 2003 წელი, მუს. №195) შემდეგი იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

- ა) ძალადაკარგულად გამოცხადდეს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი;
- ბ) კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა – 50 ლარი.
- გ) კანონის მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

3¹. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა –50 ლარი.

დ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

ე) კანონის მე-7 მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

16. საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა – 14 ლარი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი